წელიწადი მეორე / ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი 22 თიბათვე 1916 წ. № 138

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრო[illegible] რდზე პეტიტით ღირს 1[illegible] კ., [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

განცხადება

თბილისის სასტუმროების, ავეჯით მორთულ ოთახების, რესტორან ბუფეტებისა, სასადილოებისა, ტრაქტირებისა, სამიკიტნოებისა, ღვინით სავაჭროებისა, სასტუმროებისა, საკანდიტროებისა, სარძევეებისა და ყოველგვარ საჭმელსასმელებით სავაჭროების პატრონთა

ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოების სამმართველო

ამით აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ დროებით შეჩერებულ 1912 წელსა საზოგადოების მოქმედება **განახლდა 15 თიბათვეს 1916 წელს.**
სამმართველო მოთავსებული არის მეორე საპოლიციო განყოფილებაში, ბარონის ქუჩაზე, სახელმწიფო ბანკის გვერდზედ ლასკუტის ნომრებში, მეცადინეობა სწარმოებს დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათმდე და საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე, ხოლო კვირაობით და უქმე დღეს 11—2 საათამდე.
თავმჯდომარე სამმართველოსი **ს. სხირტლაძე.**
(1-241-1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 22 თიბათვეს ქართულ დრამატიულ დასის მიერ, ტასო აბაშიძის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
საძაგელი
კომ. 2 მოქ. დ. ერისთავისა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
სტუმრები საზოგადო წესით. ◆ წარმოდგენაზე შესვლა უფასოა
(1-149-1)

ხელოსანთა კლუბი
ოთხშაბათს, 22 თიბათვეს, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება მერვეთ ცნობილი თათრული ოპერეტკა
არშინ მალ-ალან
ოპერეტა 4 მოქ. პარიზეგოვისა თარ. ვ. გიგოშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. მ. გიგოშვილისა, ვ. მარგველაშვილი, ნ. ნადირაძე, ო. ფეიქაროვი. ბ.ბ. ნ. მირველოვი, ს. რევაზოვი, ა. უმშარიევი, მ. ჯანელოვი.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. გამგე რევაზოვი.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
◆ **იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი** ◆
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——
(185—წ.)

შრომისა და ბინის მძებნელ პირთა განცხადებანი
— დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე —
ხელმისაწვდომ ფასად

ქ. ოზურგეთი. ახალი თეატრი ქ. ოზურგეთი.
ოთხშაბათს, 22 და **ხუთშაბათს**, 23 **თიბათვეს**, გაიმართება პირველად ოზურგეთში ცნობილი დიდი საჯარო ქართული
სიტყვა-მუსიკობა
(ლექცია-კონცერტი) ქ. ფოცხვერაშვილისა
ამ სიტყვა-მუსიკობას დაესწრება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი და საგანგებოთ მოწვეული ეპარქიის სამღვდელოება, რომელმაც ლექციის მოსმენის შემდეგ სჯა-ბაასი უნდა იქონიოს ქართული გალობის ნოტებით ჩაწერაზე.
(2-148-1) **ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში.**

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ვამზადებთ
პიროვნით ხელმისაწვდომ ფასებში
პრაპორშჩიკთა
შკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. პ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—3)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

ქალის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან **№ 67 ოფიცერთა** ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

თბილისი, 22 თიბათვე

კიდევ ჭიათურის მრეწველობაზე.

ჩვენ კიდევ უბრუნდებით ჭიათურის შავი ქვის საქმეებს. არა ერთხელ გვისაუბრია ამის შესახებ მკითხველთან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. აღვძარით კითხვები, გვინდოდა მათი გამორკვევა საერთო ძალით, გვეგონა ამ ჩვენი ქვეყნისთვის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას საერთო ძალით მოუვლიდით. გვეგონა პრესა, ვაჭარ-მრეწველნი და საზოგადოების ფართე წრეებიც მიიღებდენ მხურვალე მონაწილეობას იმ საქმის კეთილად დაგვირგვინებაში. მით უმეტეს, რომ ჭიათურის მრეწველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში. მეორე მისი მსგავსი სიმდიდრე არ მოგვეპოვება. მთავრობამ ჩამოართვა გერმანელ ქვეშევრდომთ მესაკუთრეთ ჭიათურის შავი ქვის უდიდესი წარმოებანი და ამ მოკლე ხანში დანიშნულია მათი საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. უცხოეთიდან მოაშურეს ამ სიმდიდრის შეძენის მსურველებმა, სდგება სააქციონერო საზოგადოებები, არა ერთსა და ორ ამხანაგობებს ადგენენ არა მარტო ის პირნი, რომელთაც შავ ქვასთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ, საჯარო ვაჭრობისთვის ემზადებიან ამ მრეწველობის სრულიად უცნობი და შემთხვევითი პირნიც. მათ კარგად იციან, რომ ასეთს შემთხვევებში მოხერხებით მრავალ-მილიონიანი სიმდიდრის ჩაგდება სულ ცოტა თანხითაც მოხერხებულა. ემზადებიან ამ ვაჭრობისთვის არა მარტო ამ საქმეში გამოუცდელნი, არამედ სრულიად უფულონიც კი. მათ კარგად იციან, რომ რუსეთის ბანკებს დიდძალი თავისუფალი თანხები აქვთ და თუ ისინი ხელსაყრელ საქმეს დაინახავენ, მისთვის ფულს არ დაიშურებენ. ამ რიგად უფულონიც კი, ვისაც ცოდნა და გამოცდილება აქვს, ვინც იცნობს თანამედროვე ეკონომიურ პირობებს, მრავალ მილიონიან სააქციონერო ამხანაგობებს ადგენენ.

ასეთს მზადებაში არიან უცხონი. ჩვენ? ვინ ფიქრობს ამაზედ, ვის შესტკივა ამისთვის თავი? წვრილმან კინკლაობაში გავატარეთ ის დრო, რომელსაც სხვები წინასწარ მზადებას ანდომებენ. ისინი უკვე მზად არიან. საქმეც ამ მოკლე ხანში დასრულდება. საჯარო ვაჭრობა დაინიშნება. ნუ თუ ეხლაც ვერ შევსძლებთ ამ მავნე დაუდევრობას თავი დავახწიოთ? იქნება კიდევ რაიმე მოხერხდეს. ჭიათურა ხომ ძარღვია იმერეთის ეკონომიური ცხოვრებისა და ჭიათურის მიწები ჯერ კიდევ ქართველობის ხელშია. შავი ქვის მრეწველთა დიდს უმეტესობას ქართველები შეადგენენ, თუმცა ისინი წვრილი მრეწველნი არიან. დროზედ რომ შემდგარიყო თუნდაც სულ წვრილ მრეწველთა საზოგადოება, ბანკების შემწეობით საჭირო თანხას ადვილად მოიპოვებდა და შესაძლოა ჭიათურის წარმოება ხელში ჩაეგდოთ. მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. ნუ თუ არავინა ჰყავთ მეთაური და გზის მაჩვენებელი?

ჯერ კიდევ ყოველივე დაკარგული არ არის. ამ საქმეში თვითონ მრეწველთ ყოველთვის ექნებათ უპირატესობა. უნდა დავაღწიოთ თავი ასეთს დაუდევრობას, თორემ დიდი იქმნება ჩვენი დანაშაული ქართველი ერის წინაშე...

ქართული პრესა

გაზეთი „სამშობლო“ ეხება ჩვენი გაზეთის მიერ აღძრულ საკითხის შესახებ ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის უმწეო მდგომარეობასა და შემდეგ ღონისძიებებს გვისახელებს:

> ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად ორი საშუალება მოგვეპოვება: 1) გუბერნიის მარშალმა უნდა იშუამდგომლოს, რომ ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურო კრების დადგენილების თანახმად, ხსენებული სამთამადნო მამულები გადაეცეს თავად-აზნაურობას იმ ფულის ნაცვლად, რომელიც უკანასკნელს, როგორც დროებით ვალდებული გლეხების მამულების სასყიდელი ეკუთვნის; 2) შავი ქვის მრეწველთა საბჭო, ჩვენი სავაჭრო ბანკების გამგეობანი, ჩვენი მილიონერები და საერთოდ ყველა გავლენიანი, ფულიანი თუ უფულო, ქართველი, განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა, უნდა შეკრბენ ამ დიდს ეროვნულ საქმეში და ერთი ძლიერი „შავი ქვის მყიდველი ამხანაგობა“ უნდა შეადგინონ.
>
> ნურც შავი ქვის საბჭოს გავებუტებით და მოვიმდურებთ და ნურც საბჭო აგვივლის გვერდს. დავეხმაროთ მას და დავიხმაროთ. დეე, გამოიჩინოს ინიციატივა, ვისაც ამის უნარიცა აქვს. დაობისა და თავქრობისათვის კი დრო აღარ დაგვრჩენია, რადგან საქმეს მალე უნდა შველა.
>
> მაშ ხელი ხელს მივსცეთ და ამ საერთო საერო საქმეში მაინც შევვერთდეთ და შევრიგდეთ, ვინაიდან ერთობა შობს ძალას.

დეპეშა

ქუთაისი

(გაზ. „საქართ.“ საკუთ. კორესპონ.)

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს წარმომადგენელ პროტასიევის თავმჯდომარეობით სხდომა აქვს სალიკვიდაციო მმართველობას, რომელსაც დაკისრებული აქვს ჭიათურაში გერმანელთა სამრეწველოების გაყიდვა. საჯარო ვაჭრობა დაინიშნება სამი კვირის განმავლობაში. სამრეწველოები გაიყიდება მათზე დახარჯული თანხის მიხედვით. სალიკვიდაციო მმართველობას უფლება აქვს უპირატესობა მიანიჭოს ამა თუ იმ კონკურენტს. საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ შემოიკრიბოს ყველა თავისი ძალები, რომ დაიცვას იმერეთის ეკონომიური ცხოვრების უმთავრესი ძარღვი.

ტიტე მარგველაშვილი.

სალიკვიდაციო მმართველობა

უდიდესი ჭიათურის შავი ქვის სამრეწველოების გასაყიდათ, რომელნიც გერმანელების საკუთრებას შეადგენს, დანიშნულია სალიკვიდაციო მმართველობა. თავმჯდომარედ მოწვეულია **პროტასიევი**—ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი მეფის ნაცვალთან. წევრებად არიან:

ა. ს. სობრიევსკი—ქუთაისის სახაზინო პალატის გამგე, **თ-დი ს. გ. მიქელაძე**—იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი, **მულინი**—მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, **ჟაკი**—კავკასიის სამთო მმართველობის წარმომადგენელი, **გრიგორიანელი**—სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენელი, **კოვალენსკი**—მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმის მწარმოებელი და რამოდენიმე სამთო ინჟინერი.

⁂

როგორც დანამდვილებით გავიგეთ ცნობილ სომეხ კომერსანტს **ლიანოზოვს** და **ოჰანეზოვს** უკვე შეუდგენიათ სააქციონერო საზოგადოება 15 მილიონ მანათის თანხით ამ საქმეების ხელში ჩასაგდებად.

მიხეილ ოთარის ძე ზანდუკელთან

ამ დღეებში თბილისს ესტუმრა ჩვენი თანამემამულე, მოსკოვის ქართველთა ახალშენის ერთი ენერგიული მოღვაწეთაგანი ბ-ნი ზანდუკელი. იგი თავმჯდომარის ამხანაგია „მოსკოვის ქართულ საზოგადოებისა“. რედაქციის დავალებით ვინახულე პატივცემული სტუმარი და რამდენიმე საკითხი მივეცი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია, საერთოდ, ზემოხსენებულ საზოგადოების საქმეები. ჩემ შეკითხვაზედ ბ-ნმა ზანდუკელმა განაცხადა შემდეგი: „მიზანი ჩვენი „საზოგადოებისა“ გამოიხატება იმაში, რომ ნივთიერად ეხმარება მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას და ხელს უწყობს მათ ეროვნულ-კულტურულ გზით სიარულს.

ჩვენი „საზოგადოების“ ბურჯის, თ-დ ალ. ივ. სუმბათაშვილის მეცადი-

ნეობით და დანარჩენი წევრების ერთსულოვნობით „საზოგადოების“ საქმე კარგად წავიდა. აი მაგალითად, ცხრა წლის წინად როცა „საზოგადოება დავაარსეთ, მისი ბალანსი ცოტათი აღემატებოდა 800 მანეთს, მხოლოდ 1915 წლის ბალანსმა 19,000 მანეთს გადააჭარბა. ამ თანხიდან ჩვენ სტიპენდიებს უნიშნავთ უფრო ნიჭიერ და მეცადინე ხელმოკლე სტუდენტებს, ვეხმარებით აგრეთვე ერთდროულადაც, ვინახავთ ქართულ ლაზარეთს, საცა თავს უყრით ქართველ დაჭრილ ჯარის კაცებს. 1916 წლის 1 იანვრამდე ხსენებულ ლაზარეთში მრავალმა ჯარისკაცმა დაჰყო და ბევრი მორჩა კიდეც, მათ შორის 101 ქართველი იყო. „საზოგადოებას“ აქვს ნაქირავები ბინა, საცა მოთავსებულია ქართული სამკითხველო და წიგნთსაცავი. აქ იყრის ხოლმე თავს ქართველთა ახალშენი. აქვე იმართება სხვათა შორის კრებები ყველა ჩვენი ქართული წრეებისა, საზოგადოებისა და სათვისტომოებისა. ეს ბინა საშუალებას აძლევს მოსკოვის ქართველთ ერთმანეთს აზრი გაუზიარონ და ერთობა შეინახონ. ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალს ჩვენი სამშობლოს ცხოვრებას და არა ვსდუმთ ხოლმე არც მისი ზეიმის და არც მწუხარების დროს. ამასთანავე არიან ჩვენი თანამემამულენი მოსკოვში მცხოვრებნი, რომელთა შვილებმაც სამშობლო ენა არ იციან; ამიტომაც „საზოგადოებამ“ დააარსა ქართული სკოლა, საცა საშუალება ეძლევათ ასეთ ბავშვებს ქართული, სამშობლო ენის შესწავლისა.

ალსანიშნავნი არიან ჩვენი „საზოგადოებას“ საპატიო წევრნი, რომელნიც დიდს დახმარებას უწევენ „საზოგადოების“. ეკატერინე ივ. სარაჯიშვილისა, მიხეილ ჭავჭავაძის ასული, ელენე მეუღლე სუხოდოლსკისა, და თვით ვ. პ. სუხოდოლსკი და უფრო კი ლ. ლ. ზუბალაშვილი, რომელიც ამ ჟამად არ აკლებს ზრუნვას „საზოგადოებას“ და მისი შემოწირულება დიდ ნაწილს შეადგენს „ბალანსისას“.

— საინტერესოა ვიცოდეთ თუ რამდენად მოფიქრებულია პრესის საშუალებით რუსის ინტელიგენციის გალაშქრება ქართველების წინააღმდეგ, კერძოდ კავკასიის ერობის საკითხში თქვენ ახლოს დგეხართ რუსეთის ინტელიგენციასთან და მისი ცოცხალი სიტყვა გესმით და უფრო უშუალი შთაბეჭდილება გექნებათ მიღებული,—შევნიშნე მე. „პირადად მე ეს საკითხი ძალიან მაინტერესებდა და შემიძლიან ვთქვა, რომ რუსის ინტელიგენციის ფართო წრეებს არაფერი წინად განზრახვა არა აქვთ ამ საკითხში და არც არიან ამხედრებულნი, გარდა თითო ოროლა პირისა, რომლებსაც გული უკვე მოიოხეს გაზეთის ფურცლებზედ. მართალია გაუკვირდათ, რომ რუსეთში მემარცხენეთ ცნობილმა ქართველობამ 1890 წლის ერობა მოითხოვა, მხოლოდ, როცა აუხსნით გარემოებას ეს გაკვირვებაც გაეფანტებათ ხოლმე. საჭიროა ჩვენ ქართველებმა ჯეროვანად გავაცნოთ რუსის საზოგადოებას ჩვენი გარემოება და ასეთ მოვლენებსაც მოეღება ბოლო. ასეთი ჩვენი მუშაობა აუცილებლად მიმაჩნია“.—მერე? მოსკოველ ქართველობას ხომ გაქვთ მეორე „საზოგადოება ქართულ მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურისა“, რომლის მიზანიც არის ქართველთა მდგომარეობა გააცნოს რუსის საზოგადოებას? რატომ არაფერი ნაბიჯი არ გადადგა ამ მხრივ.—უპასუხე მე. „მართალია გვაქვს. მორიგ საკითხებზედ შეძლებისა და გვარად ჩვენცხმას ვიღებთ. ამ მიზნით ჩვენ რამდენიმე წიგნაკი გამოვეცით, რომელნიც ძალიან გავრცელდნენ საზოგადოებაში. საჭიროა მოგვაწოდოთ მასალები და საქმეს ტეხნიკურად ჩვენ გაუძღვებით“.—რა აზრისა ხართ მოსკოვში მეორე ქართულ სამეცნიერო საზოგადოების დაარსებაზედ და ან როგორ მიდის მისი საქმე—შევეკითხე. „პირადად მეც და რამდენადაც ვიცი ყველა ჩვენი წევრებიც სიამოვნებით შევხვდით ამ საქმეს და გვსურს მისი წარმატება. რაც შეეხება მოქმედებას ჯერ სულ ახალი დაარსებულია და თვალსაჩინოს რასაკვირველია ვერაფერს მოასწრობდა“.

ამით გათავდა ჩვენი მოკლე საუბარი და ბევრი სასიამოვნო გავიგე მოსკოვში გადახვეწილ ჩვენ თანამემამულეებზედ და მათ შრომაზედ.

ი. ამირეჯიბი.

ალ. ყიფშიძის გარდაცვალება

ალექსანდრე ყიფშიძის დაკრძალვა

გუშინ, 21 თიბათვეს, დიდუბეში ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მიწას მიაბარეს სახიქადულო მამულიშვილის ალექსანდრე თევდორეს ძის ყიფშიძის ცხედარი.

ცხედრის გადასვენება დიდუბეში.

დაკრძალვის წინა დღით, 20 თიბათვეს, განსვენებულის ბინაზე ყაზბეგის ქუჩაზე, ნაშუადღევის $5^1/_2$ საათზე თავი მოიყარა ღრმად დამწუხრებულმა ყველა წრისა და წოდების ქართველმა საზოგადოებამ. აქ იყვნენ „ჩვენი საერთო საქმის ჭირისუფლის“ თანამსახურნი—„დაობლებულ საადგილ-მამულო კომისიის წევრნი“, როგორც მათი გვირგვინის წარწერა მოწმობდა, ძის გულის ზრახვათა მესაიდუმლე მეგობარნი, როგორც მცხოვანნი, მასთან ერთად სიყმით შეზრდილნი, ისე ახალგაზდობა. მოსულიყვნენ ზემო ქართლის თვალცრემლიანი გლეხკაცნი პურის თავთავებისაგან შეკონილ გვირგვინით და თავს დასტიროდნენ „მოჭირნახულე ალექსანდრეს“, განსვენებულის გულთან ასე მახლობელ ახალციხელთა წარმომადგენელნი, მადლიერ ჯავახთაგან, რომელთა მაჯის ცემას ბოლო წუთამდის საოცარ სიფხიზლით და გულდასმით დარაჯად ედგა ერთგული მამულიშვილი, დამწუხრებულ ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პატრი ლაზარე გოზალაშვილი, განსვენებულის გულითადი მეგობარი, წარმოეგზავნათ თვის მწუხარების გამოსათქმელად, განსვენებულის სამშობლო სოფელ საღოლაშენის გლეხკაცობას, პურის თავთავის გვირგვინითვე—„ჩვენ ძვირფას და დაუვიწყარ საშას“ სატირლად და მართლაც რომ ერთი მათგანი ცხარე ცრემლით დასტიროდა „გვარის და სოფლის დამამშვენებელს“ ალექსანდრეს გაციებულ ნეშტს, აქ იყვნენ ბოლოს თბ. ქართულ ყველა დაწესებულებათა და საკულტურო საზოგადოებათა წარმომადგენელნი ქალი და კაცი.

მცირე პანაშვიდის შემდეგ, რომელიც ყოვ. სამღვდელო ანტონიმ გადიხადა, ქალაქის ქართველ სამღვდელოების მონაწილეობით, განსვენებულის კუბო „საქართველოს“ რედაქციის თანამშრომლებმა და მახლობელ მეგობრებმა ასწიეს და სახლიდან გამოასვენეს. სამგლოვიარო პროცესია ყაზბეგის და იზმაილოვის ქუჩით გაემართა დიდუბისკენ. წინ ჯვარი, დროშები და კუბოს თავი მიჰქონდათ, შემდეგ მისდევდა მგალობელთა გუნდი თბ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით, მგალობელთა გუნდს, შემოსილი სამღვდელოება ეპ. ანტონის და არქ. ნაზარის მეთაურობით, სამღვდელოების უკან გლეხკაცობას და მეგობარ პატივისმცემელთ ხელით მიჰქონდათ კუბო ვარდ ყვავილებში განსვენებულ ძვირფას ცხედრით.

სადეპუტატო საკრებულოსთან.

სამგლოვიარო პროცესია ბელინსკის ქუჩაზე შეჩერდა სადეპუტატო საკრებულოს შენობის წინ. აქ კვლავ იქმნა გადახდილი მცირე პანაშვიდი, რის შემდეგ განსვენებულის ცხედარი საგანგებო ღია სამგლოვიარო შავ ძაძით მოსილ ეტლზე დაასვენეს და ოლღას ქუჩით წაასვენეს.

„საქართველოს“ რედაქციასთან.

მოსკოვის ქუჩის და ვერის თავდაღმართის ჯვარედინ გზაზე სამგლოვიარო პროცესიას შეეგება „საქართველოს“ რედაქციის მთელი კოლეგია და თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა. რედაქტორმა ალ. შანშიაშვილმა რედაქციის და კოლეგიის მხრივ ცოცხალ ყვავილების ჯვრით შეამკო განსვენებულის კუბო.

პროცესიამ ვერის დაღმართით და მიხეილის პროსპექტით განაგრძო გზა დიდუბისკენ. გზა და გზა პროცესიას განსვენებულის პატივისმცემელნი უერთდებოდნენ. ტრამვაის მოძრაობა როგორც ვერის დაღმართზე ისე მიხეილის პროსპექტზე შეჩერებულ იქმნა.

დიდუბის ქუჩის თავში პროცესიას შეეგება დიდუბის ტაძრის კრებული და ამ ტაძრისავე ქართულ მგალობელთა გუნდი მთ. დიაკ. კ. ჩუტკერაშვილის ლოტბარობით, დიდუბის ტაძრის სამგლოვიარო ზარმა გალავანში თავმოყრილ დიდუბელ ქართველობას ამცნო ძვირფას ცხედრის მოსვენების სამგლოვიარო ამბავი. ნაშუადღევის 7 ნახ. საათზე ძვირფასი ცხედარი შეასვენეს დიდუბის ტაძარში და საგანგებოდ ამართულ ადგილას დაასვენეს. აქ ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ი. მირიანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

სიტყვის შემდეგ დაიწყო პანაშვიდი ეპ. ანტონის, არქ. ნაზარის და ქართველ სამღვდელოების მონაწილეობით. პანაშვიდზე ორი გუნდი გალობდა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და დიდუბის ტაძრისა.

პანაშვიდი სრულ 8 ნახ. საათზე დამთავრდა. მიუხედავად ბინდისა ხალხი დიდხანს არ დაშლილა.

გვირგვინები.

მიუხედავათ საგანგებოდ არჩეულ დამმარხავ კომისიის გადაწყვეტილებისა რომ გვირგვინები არ ყოფილიყო მაინც განსვენებულის კუბო გვირგვინებით შემკობილ იქმნა შემდეგ პირთა და საზოგადოებათაგან:

1) გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობისაგან: „ჩვენის მოამაგის ალექსანდრე ყიფშიძის ძვირფას ხსოვნას“ (ცოცხალი ყვავილებისაგან).

2) საღოლაშენის გლეხკაცებიდგან: „ჩვენს ძვირფას და დაუვიწყარ საშას“ (პურის თავთავებისაგან).

3) თ-დ კ. ნ. აფხაზისაგან: „ალექსანდრე ყიფშიძის ძვირფას ხსოვნას“. (თეთრ ვარდებისაგან).

4) ზემო ქართლის მადლიერ გლეხებისაგან: „ჩვენს მოჭირნახულე ალექსანდრეს“. (პურის თავთავებისაგან).

5) ს. გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან: „ვუძღვნით ჩვენთვის დაუვიწყარ ალექსანდრეს“. (ლითონისა).

6) დაობლებულ საადგილ-მამულო კომისიის წევრთაგან: „ჩვენს საერთო საქმის ჭირისუფალს“. (ალისფერ მაისის ვარდებისაგან).

7) საყვარელ უფროსს ამხანაგს და მასწავლებელს ალექსანდრეს:—ქართლ კახეთის თ-დ აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოს მოსამსახურეთაგან (ცოცხალი ყვავილებისა). ამ გვირგვინებით შემკული იყო ერთი სამგლოვიარო ეტლი.

8) გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლისაგან და იქაურ მემამულეებისაგან „ჩვენს დაუვიწყარს სოფლის კეთილ-დღეობაზე მზრუნველს ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძეს“.

—

დაკრძალვა.

21 თიბათვეს ძვირფას ცხედრის პატივსაცემად დიდუბის ტაძარში შეიკრიბა დიდძალი ქართველი საზოგადოება როგორც თბილისის ისე პროვინციებიდან ჩამოსული წარმომადგენელნი სხვა და სხვა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა და კავშირთა. მთელი ტაძარი და გალავანი სავსე იყო ხალხით. წირვასა და ანდერძს დაესწრნენ მთელი შემადგენლობა საადგილმამულო კომისიისა, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა მაზრის წინამძღოლნი, თბ. გუბერნიის თ-დ აზნ. წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზის მეთაურობით, „საქართველოს“ რედაქციის მთელი კოლეგია და თანამშრომელნი და დანარჩენ ქართულ პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენელნი, თბ. ყველა ქართულ დაწესებულებათა საკულტურო და საგანმანათლებლო საზოგადოებათა და კავშირთა წარმომადგენლები და მრავალი პროვინციის დეპუტაციები,

დეპუტატები

დაკრძალვას დაესწრნენ წარმომადგენელნი 1) ზემო ქართლის გლეხობისაგან (ვ. ნოზაძე ლ. კაპანაძე, 2) ზემო გომის საკრედიტო ამხანაგობისა (პ. ყაველაშვილი), 3) გომის სინდიკატისა (მ. მგალობლიშვილი). 4) „სამშობლოს“ რედაქტორი (ი. ცინცაძე), 5) ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოებისა (ი. ცინცაძე), 6) ქუთაისის ნაციონალ დემოკრატიულ ჯგუფისა—(ი. ელენტი), 7) ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების თბ. განყოფილებისა (დეკ. დ. ხახუტაშვილი), 8) ახალციხის საქ. საზოგადოებისა სკოლისა ს. რაბათში, განსვენებულის მიერ დაარსებული (მღ. კანდელაკი) 9) ახალციხის კოოპერ. საზ. „მესხეთისა“ (ვ. ბალიაშვილი), 10) ახალციხის მაჰმადიან-ქართველთაგან —(ბახში ბეგ-მაჩაბელი) 11) ახალციხის ბეგებისაგან—(ზია ბეგ-შარა-ფჩიევი), 12) ახალციხის ქართველებისაგან (სტუდ. ს. დიდიმამიშვილი) და წარმომადგენელნი სასოფლო საზოგადოებათა: აღელთა, მარტყოფელთა, საგარეჯოელთა, ბრეთელთა, გიორგიწმინდელთა, ახალქალაქელთა, საღოლაშენელთა და სხვ.

წირვა დაიწყო დილის 10 საათზე. მწირველი იყო გორის ეპ. ანტონი არქიმანდრიტებ ნაზარისა, დოსითეოსის და ქართველ სამღვდელოების თანამღვდელობით. წირვის შემდეგ გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ეპ. ანტონიმ. წირვის შემდეგ დაიწყო ანდერძი. წირვაზე და ანდერძზე გალობდა ორი გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა და დიდუბის ტაძრისა. ანდერძის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მღ. ვ. კარბელაშვილმა.

ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე განსვენებულის კუბო გამოასვენეს ტაძრიდან ხელით „საქართველოს“ რედაქციის კოლეგიამ, თ-დ აზნ. გუბერნიის წინამძღოლმა აფხაზმა და განსვენებულის მეგობრებმა და ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გათხრილ სამარის წინ დაასვენეს. მცირე პანაშვიდის და ნათესაობის გამოსალმების შემდეგ სამარის წინ სიტყვები წარმოსთქვეს: „საქართველოს“ რედაქციის და კოლეგიის მხრივ სპ. კედიამ, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის მხრივ ია ეკალაძემ; ახალციხის საქველმ. საზოგადოების თბ. განყოფილების მხრივ დეკ. დ. ხახუტაშვილმა, ახალციხის ქართ. მაჰმადიანთა მხრივ ბახში ბეკ მაჩაბელმა, ახალციხის ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მხრივ მღ. ი. კანდელაკმა და გურჯაანის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წარმომადგენელმა. სიტყვების შემდეგ განსვენებულის ცხედარი ნაშუადღევის 2 ს. მიაბარეს მიწას ალ. ხახანაშვილის და ი. გოგებაშვილის სამარეთა შუა.

სამძიმრის დეპეშები

მივიღეთ შემდეგ დაწესებულებათა და პირთაგან:

თელავი. თელავის წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან.

თელავის საქველ-მოქმედო საზოგადოების განყოფილებისაგან.

დუშეთი. ბაზალეთის მომხმარებელ საზოგადოებისაგან მღ. მოლოდინისაგან.

თელავი. გული დაგვწყვიტა ღირსეულ მამულიშვილის ალექსანდრე ფრონელის მოულოდნელმა სიკვდილმა. რედაქციის კოლეგიას ვუცხადებთ ჩვენს მწუხარებას.

თელავის ქართველთა ჯგუფი.

თელავი. ხევსურნი ვგლოვობთ ჩვენი მფარველის დაკარგვას: განსვენებულის მეცადინეობით დავსახლდით თელავის მაზრაში. გვიან გავიგეთ სამწუხარო ამბავი. ვნანობთ რომ მის დაკრძალვას ვერ ვესწრობით.

ხელს ვაწერთ 60 ხევსური.

სუმბათოვი. ანიკოსაგან.

გორი. მღ. ბართლომე, ვერასა, ალიასა და მიხაილისაგან.

თბილისი. მარია ჭავჭავაძისაგან.

ბაქო. ბაქოს ქართველებისაგან.

ქიზიყი. ქიზიყელ „საქართველოელთაგან“.

გორი. გიორგი კვალიევისაგან.

ნახიჩევანი. ალექსანდრე სოლომონის ძის ლეონიძისაგან.

ბათომი. გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათომის განყოფილებისა ჰგლოვობს ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის ჩუმსა და საქმიან მოღვაწის ალექსანდრე ფრონელის დაკარგვას. იგი იშვიათი კეთილსინიდისიერი მკვლევარი იყო ჩვენი ქვეყნის წარსულისა. დეე ეს დანაკარგი ემძაროს ისედაც გულწრფელ ადამიანებით ღარიბ საქართველოს.

გრიგოლი ელიავა.

ქუთაისი. ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოება ულრმესად სწუხს სამშობლოს ნაყოფიერ მოღვაწის ალექსანდრე ფრონელის დაკარგვას.

ხაბეთ.

თელავი. ჩვენი მწუხარებაც შეუერთეთ ჩვენი ერის საერო გლოვას გამოჩენილ ქართველის ალექსანდრე ფრონელი-ყიფშიძის დაკარგვის გამო.

თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

ახალსენაკი. ვიზიარებთ საერთო მწუხარებას ქართველი ერის ისტორიულ ჭეშმარიტების დამცველისა და უზომო საიმედო მამულიშვილის დაკარგვით გამოწვეულს.

სენაკის თანამოაზრე ახალგაზდობა.

სამძიმრის წერილები

უზომოდ დაგვამწუხრა ძვირფას საზოგადო მოღვაწე და თანამემამულე **ალ. ყიფშიძეს** მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

არჩილ შერაზადიშვილი, იოსებ მეყანწეშვილი.

—

ზუგდიდი. ძვირფას ალექსანდრეს დაკარგვას დამწუხრებული დავსტირი. გულწრფელი და თვალსაჩინო მოღვაწის ოჯახს სამძიმარს ვუთვლი.

ლავრენტი წულაძე.

დიღმის საზოგადოების ამხანაგობა „ბაზარუკეში“. გული მოგვიკლა ძვირფასს მოჭირნახულის **ალექსანდრე ყიფშიძის** უდროოდ გარდაცვალებამ. ჩვენი ამხანაგობა თავის დღეში არ დაივიწყებს განსვენებულის ამაგსა.

ამასთანავე ეგზავნება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას გვირგვინის ნაცვლად განსვენებულის სახელობის საისტორიო თხზულებათა ერთდროულ თანხისათვის 20 მან.

ამხანაგობის მონდობილობით წევრი

სვიმონ წიკლაური.

—

„განათლების“ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მთელ შემადგენლობით დაესწროს განსვენებულის ცხედრის გამოსვენება-დაკრძალვას და მომავალ ქა[illegible] დია დააარსოს განსვენებულის სახელზე.

—

ოჩემჩირე. გულწრფელ ქართველ ალექსანდრეს უდროვოდ დაკარგვის გამო თანაგრძნობას ვუცხადებ რედაქციას და განსვენებულის ნათესავობას.

თეოფილე ხუხკივაძე.

—

თელავი. თელავის მაზრის პირველი საბლადოჩინო ოლქის სამღვდელოება ღრმად დამწუხრებულია საზოგადო მოღვაწის, მწერლის და ქართველ მკვლევარის მეგობრის უდროვოდ დაკარგვას. პანაშვიდი გადახდილ იქმნა ეპ. პირროსის თანადასწრებით.

ბლაღოჩინი ღვინიაშვილი

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

ზაფხულის დასაწყისში ბრძოლის ვითარება ახალს ხანაში გადადის. თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ რუსეთის სამხედრო მიმომხილველთა აზრს, ეხლა რუსეთი უკვე სავსებით მზად არის ბრძოლისათვის. „პეტ. ვედ.“ მიმომხილველის აზრით, 1917 თუ 1918 წელს დასრულდება ომი, იგი მაინც მეტად მძიმე ტვირთად აწევს ხალხს. მაგრამ ეხლა კი, ამ ზაფხულს რუსეთის სამხედრო სამზადისმა უაღრეს წერტილს მიაღწია. იგი მთელ ძალღონეს იკრებს გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. აგრეთვე მომზადებულან რუსეთის მოკავშირენი და დღე-დღეზე ბრძოლის ინიციატივას ავსტრია - გერმანელებს ხელიდან გამოჰგლეჯენო“.

„რუსკი ინვალიდის“ სამხედრო მიმომხილველიც ამავე აზრისაა, თუმცა ნართაულად საჭოჭმანო ცნობებსაც იძლევა. იგი სწერს, მაგ. ვერდენის შესახებ: „აქ ფრიად მნიშვნელოვანი ამბები ხდება. ჩვენი მოკავშირენი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებენ ვერდენის შესანარჩუნებლად, თუმცა ვერდენის შენარჩუნებას ეხლა მხოლოდ ზნეობრივი მნიშვნელობაღა თუ აქვს“. ფრანგები და ინგლისელები საფრანგეთის ასპარეზზე დიდს მოქმედების უნარს იჩენენ „ბ. ვ.“-ის სიტყვით მათ ერთგან უკვე გაარღვიეს გერმანელთა ბრძოლის ხაზი. სახელდობრ რა ადგილას მოხდა ეს საგმირო საქმე, მიმომხილველი არ ასახელებს. ხოლო აღნიშნავს, რომ გერმანელებს მთავარი ძალა ორ ადგილას ჰყავთ თავმოყრილი, ვერდენთან და ჩრდილო-საფრანგეთში. ჩანს გერმანელებს ამ ორ უმთავრეს ადგილას ჰქონიათ შეტევის განზრახვა. ეხლა, რაკი ფრანგ - ინგლისელთა ჯარმა სხვა ხაზზე მოახერხა გერმანელთა ბრძოლის ხაზის პირველ წყების გარღვევა, გერმანელებს ეს განზრახვა და სამზადისი ფუჭად ჩაუვლითო. შვეიცარიის გაზეთების ცნობით, ინგლისელთა ჯარი გერმანელებს მიაწვება კამბრე-დუელილ-კურტეს შუა მდებარე ხაზით.

საფრანგეთის ასპარეზზე რომ მართლაც დიდი რამ ბრძოლა მზადდება ორივე მოპირდაპირის მხრივ ამას სტოკჰოლმიდან მოსული შემდეგი ცნობაც ადასტურებს: მეზერში ვილჰელმის თავმჯდომარეობით მოხდა სამხედრო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: კრონპრინცი, ჰინდენბურგი და ფონ-ემიხი. თათბირზე გადასწყდა, რომ საფრანგეთის ასპარეზზე ჰინდენბურგი გაიგზავნოს, ხოლო ფონ-ემიხი, რომელიც ეხლა ვერდენთან მებრძოლ ჯარს ჰხელმძღვანელობს, რუსეთის ასპარეზზე გადმოიყვანონ. ჰინდენბურგისა და ფონ-ემიხის მთავარი ბანაკი ვილნოში იქნება. აქვე მოვა ვილჰელმიც.

ასეთი ფიცხელი მზადება ორივე მოპირდაპირისა ჰმოწმობს, რომ ახლო მომავალში მნიშვნელოვანი და, შეიძლება, გადამწყვეტი ბრძოლაც მოხდეს ერთ-ერთ ასპარეზზე.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბიდან.

პეტროგრადი, 20 თიბ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. სტირის და სტოხოდის შუა და სტოხოდის სამხრეთით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. კოპჩე-ელენოვკა-ზაბარის მიდამოებში ქარიშხალისებური სროლის შემდეგ გერმანელები თხრილებიდან გამოვიდნენ, მაგრამ სროლით უკუ ვაგდეთ. სროლითვე მტერმა სოფ. ლინევკის სამხრეთით შეუტია, მაგრამ ჩვენ შევაჩერეთ. აქ დაიჭრნენ და დაჰავდნენ ჩვენი გამოჩენილი პოლკოვნიკები პანპუშკო და დაშკევიჩი გორბატსკი. დავატყვევეთ 16 აფიცერი და 800 ჯარის კაცი. ზუბიდან ნოზატურცის მიდამოებში ავსტრიელებმა დიდის ძალით შემოგვიტიეს, მაგრამ ზარალით უკუ ვაგდეთ. ხელთ ვიგდეთ 700 ტყვე და 3 ტყვიისმფრქვეველი. სოფ. უგრინოვის აღმოსავლეთით, ლუცკ-გოროხოვის შუა ხაზზე მტრის ახალმა ძალამ შეგვაჩერა და უკან დაგვახევინა. ბრძოლის დროს პოლკოვნიკ კორჩნევის მეთაურობით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა შეუტია, მტერი უკუ აგდო და მომეტებული ნაწილი აჰკუწა. წამოვიყვანეთ 800 ტყვე. სოფ. ისააკოვის მიდამოებში, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მტერმა ძლიერის ძალით შემოგვიტია. ჩვენ კონტრ-იერიშით წავილით. ამ სასტიკ ბრძოლაში დაიჭრა ყაზახთა პოლკის უფროსი პოპოვი.

დამატებითი ცნობით პეჩენიჟინასთან ბრძოლის დროს გენ. ლეჩიცკის ჯარმა ხელთ იგდო 7 ზარბაზანი და 4 ყუთი ტყვია-წამლით. რიგის მარცხენა ფრთაზე ჩვენმა არტილერიამ (ხმელეთისამ და გემებიდან) სროლა ასტეხა მტრის მიდამოებში. გერმანელთა ჰაეროპლანმა 20 ყუმბარა უშედეგოთ ესროლა ჩვენ გემებს, ჰაეროპლანმა იგი განდევნა. გენ. ევერტის ბრძოლის ხაზზე გერმანელებმა ღამე, 19 თიბათვეს, გაზის საშუალებით იერიში მიიტანეს სმორგონის სამხრეთით და ჩვენი თხრილები ხელთ იგდეს. შემდეგ ისევ გავრეკეთ.

კავკასიის ასპარეზი. 18 თიბათვეს გათენებისას პლატანის დასავლეთით ოსმალებმა ჩვენ მიერ დაპყრობილ ადგილებზე მდ. სამსუნ-დარასის მარჯვენა ნაპირზე იერიში მოიტანეს, მაგრამ კონტრ-იერიშით, დიდი ზარალით შევაჩერეთ. ჯივიზლიკის მიდამოებში ოსმალებმა შემოტევა სცადეს, მაგრამ შეერთებული მოქმედებით შევაჩერეთ. მთელი დღე-ღამის განმავლობაში გიუმიშხანის მიმართულებით, ჩვენ ადგილებში ოსმალებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, რომლებიც მოვიგერიეთ. მდ. ჰორობის მიდამოებში ოსმალთა გამაგრებული ადგილები ხელთ ვიგდეთ. აქ დავლა დაგვრჩა და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მტრის კონტრ-იერიშები ყველგან მოვიგერიეთ.

პეტროგრადი, 20 თიბათვე, ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით წუხელ გერმანელებმა ზარბაზნების სროლა დაიწყეს, სროლამ მთელი ღამე გასტანა. ვიშნევსკის ტბის ჩრდილო ნაპირებში გერმანელებმა მოინდომეს წინ წაწევა, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ბრძოლა გაცხოველდა. დავატყვევეთ 50 აფიცერი და 1400 ჯარისკაცი, წამოვიღეთ 4 ზარბაზანი.

ბრძოლა გრძელდება. ლიაპის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტერი დასავლეთით დასწია. დავატყვევეთ 11 აფიცერი და 992 ჯარისკაცი.

—

პარიზი, 19 თიბ.-თვე, ოფიციალი. სომის დასავლეთით ერდეკურ-კურლიუს მიდამოებში ბრძოლა მთელი დღე გრძელდებოდა. სომის სამხრეთით ჩვენ გერმანელთა მეორე ხაზის თხრილები ხელთ ვიგდეთ. აქ დავიჭირეთ სოფ. ფრიზი და არესკულის ტყე. 18 და 19 თიბათვეს 6,000 ჯარის კაცი და 150 აფიცერი დავატყვევეთ. დაგვრჩა დავლა. ვერდენის ჩრდილოეთით ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა. „304“ მაღლობთან მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.

მფრინავთა მოქმედება.

19 თიბათვეს განმავლობაში ფრანგთა მფრინავებმა 130 ყუმბარამდე ჩამოაგდეს სხვა და სხვა ადგილებში. ბელფორის მხრივ მტერმა დიდი ყ

ლიბის ზარბაზანი ისროლა. გაუმაგრებელ ქალ. ლიუნევილს მტრის მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარეს. ამ გვარ მოქმედებას ჩვენც ვუპასუხებთ.

პარიზი, 20 თიბათვე, ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში გერმანელებს იერიშები არ მოუტანიათ. სომის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება ფრანგთა სასარგებლოთ, სადაც გერმანელთა თხრილები 4 ვერსის მანძილზე დავიჭირეთ. იერიშით სოფ. ესცრეს ჩრდილოეთით ჩვენ წინ წავიწიეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღი. 18 თიბ. ბრძოლაში გერმანელთა 39 ბათალიონი იღებდა მონაწილეობას. როგორც ამბობენ ამათში 31 ბათალიონი დაზიანებულია სულ. ტყვეების სიტყვით ფრანგთა ზარბაზნები დიდ ზიანს აყენებენ მტერს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

კავკასიის ასპარეზი.

ორი კვირის სიჩუმის შემდეგ, მოპირდაპირენი კვლავ ამოქმედდნენ. ვერტიბ-ფაშა ცდილობს როგორმე უკან დაგვახევინოს. ხაჯი-ხამდი-ბეიმ, რომელმაც მე-9 დივიზია მიიშველია, ცდილობს იერიში მოიტანოს დასავლეთით. პლატანის მიმართულებით და სამხრეთით ჯივიზლიკის ხაზით. აქ ოსმალთ ჰყავთ მე-18 9 და 11 დივიზიები: ესენი შეჯგუფულები მოდიან იერიშით, მაგრამ რამე შესამჩნევი ცვალებადობა ბრძოლის ველზე არ შეუტანიათ. რუსები მათ დიდ ზიანს აყენებენ.

სიცოცხლე დაეტყო აგრეთვე მუშის მიმართულებით.

ბითლისის ხაზით ქიამილ-ფაშას მაშველი ჯარი მოუვიდა. აქ დიდი ხანი არ არის რაც ოსმალოდან ერთი გენერალი მოვიდა და ჯარი დაათვალიერა. ამის შემდეგ ოსმალებმა ნუხისკენ შეუტიეს, სადაც წილად ჰხვდათ გამარჯვება, მაგრამ რუსებმა მალე უკუ აგდეს. ოსმალები რევანდუზხასთანაც ამოქმედდნენ და საქმე ხიშტებამდისაც მიდიოდა, აქაც ოსმალთ უპირატესობა არ ჰხდომიათ წილად.

ბაღდადის მიმართულებითაც ოსმალთ 25 ათასი ჯარის კაცისათვის, არტილერიით და მფრინავებით თავი მოუყრიათ შეფიქ-ფაშას მეთაურობით და ცდილობენ გენ. ბარათოვის ბრძოლის ხაზს შეუტიონ და როგორმე უკან დააწევინონ.

ოსმალთა ჯარის გაძლიერება

როგორც ხმები დადის ვენტიბ-ფაშას ასპარეზზე ოსმალთა მაშველი ჯარი მოუვიდათ და ეს არის მიზეზი, რომ ამ ადგილას ბრძოლა გაცხოველდა. მაშველი ჯარი ფრაკიიდან მოსულა. ამას გარდა ქიამილ-ფაშასაც მუშ-ბითლისის მიმართულებით სამი პოლკი მიეშველა.

ამბობენ, რომ იუსუფ-ფაშას ერზინჯანის მიმართულებით და იზეთ-ფაშას ბაიბურთის მიმართულებით მაშველი ჯარი მოუვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება ბრძოლის მთელ ასპარეზზე დაიწყო, ოსმალთა ძალა მაინც ცენტრში იმყოფება და აქ უნდა მოველოდეთ მკაცრ ბრძოლას.

ვერდენთან

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა თუმცა დიდი ზარალი გასწიეს, მაგრამ დიდი წარმატებაც მიიღეს ვერდენთან. აქ მათ აიღეს ტიომონი და ნაწილი ფლერის სიმაგრისა, რაც დიდ საფრთხეში აყენებს სუვილის სიმაგრეს, რადგანაც ორივ მხრივ მოექცნენ მას.

გერმანელები თუმცა გაშმაგებული იერიშებით მიდიან ვერდენზე, ამბობს „რუს. ვედომ.“—მას სტრატეგიული მნიშვნელობა დაეკარგა და თუნდაც მათ ციხე აიღონ, მაინც უმნიშვნელო იქნება, რადგანაც ციხე სულ განადგურებულია და გარდა ამისა ვერდენის დასავლეთით ფრანგებმა დიდი სიმაგრეები ააგეს, რის გარღვევასაც გერმანელები ვერ შესძლებენ.

გენ. ბიულოვის დათხოვნა

ბაზელიდან დეპეშით იტყობინებიან: გერმანელთა ჯარების სარდალი საფრანგეთის ასპარეზზე გენ. ბიულოვი ვილჰელმის ბრძანებით თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა. ოფიციალის სიტყვით ბიულოვი გადადგა ავადმყოფობის გამო.

გერმანელი პარლამენტიორები სოფიაში

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანელთა პარლამენტიორები სოფიაში მოვიდნენ. სადგურზე მათ საერო კრების თავმჯდომარე, მეფის ადიუტანტი და მოწმეები დახვდნენ. მრავალი სიტყვა წარმოსთქვეს. მიულერმა აღნიშნა ბულგარეთის მიზანის ახლო მომავალში განხორციელება და ის, რომ გერმანეთსა და ბულგარეთ შორის საერთო ინტერესები არსებობს. დეპუტატებმა ქ. ნიშიც დაათვალიერეს.

ბალკანეთი

სალონიკიდან იტყობინებიან: თუმცა ბულგარელები ახლო მომავალში ვერ შესძლებენ მაკედონიის ასპარეზზე შეტევას, მაგრამ ცდილობენ მოპირდაპირენი დაარწმუნონ, რომ იგინი კვლავ მზად არიან სამოქმედოთ.

ბულგარელებმა არჯანის და კაბიროვის მიდამოებში მკაცრი საარტილერიო სროლა ასტეხეს. 12 თიბათვეს მხოლოდ სოფ. პოროიას 500 ყუმბარა ესროლეს.

ბულგარელები მონასტირის მიდამოებში ჯარს აგროვებენ, მეორე ცნობით, ბულგარელებს თავისი ჯარი რუმინეთის საზღვრებისაკენ გადაუყვანიათ.

საბერძნეთი

მეფის დეკრეტის ძალით საბერძნეთში დემობილიზაცია 18 თიბათვეს დაიწყება. მოკავშირეთა სახელმწიფოების მოთხოვნილებით ჯარის რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მშვიდობიან დროისას.

ლიბკნეხტის გასამართლება

ბერლინში გამოაქვეყნეს ლიბკნეხტის საქმის განაჩენი. ლიბკნეხტს მიუსაჯეს 2 წელ. 6 თვე და 3 დღე გამასწორებელი ციხე; მას სამხედრო ღირსება აჰყარეს, ხოლო სამოქალაქო უფლება არ მოუსპეს. ლიბკნეხტს მცირედი სასჯელი მისცეს, რადგანაც მის მოქმედებას პოლიტიკურ ფანატიზმს აწერენ. ლიბკნეხტს გასაჩივრების ნება აქვს.

ჩინეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

„ტანის“ ცნობით, ჩინეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი ლი-ჟუნ-ხუნგი, 1911 წ. ღვინობისთვეში (როცა გენერალი ტჩანგ-პიაო) ქ. უჩანგის ამბოხების დროს ჯარს ჰხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას პრესა დიდად უჭერდა მხარს, მაინც ვერავითარი მნიშვნელობა ვერ მიიღო გენერალ ლის, მონაწილეობა არ მიუღია ხანკოუს და ხანიონის ამბოხებაში. არ მონაწილეობდა იგი მთავრობისა და მეამბოხეთა შორის მოლაპარაკებაში, რომელიც ჩინეთის რესპუბლიკას ეხებოდა. ჩინელებმა მას „ჩინეთის ვაშინგტონი“ უწოდეს.

როდესაც იუანშიკაი, პრეზიდენტად დაინიშნა ლი, ვიცე-პრეზიდენტად დარჩა. შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ საქმეში მან რამოდენიმედ ენერგია გამოიჩინა. შემდეგში, იუანშიკაიმ მოუწოდა მას პეკინში და ძლიერ დაიახლოვა. როდესაც შესდგა კამპანია, მონარქის აღსადგენად, გენერალ ლიმ მეტის მეტი თავდაჭერილობა გამოიჩინა. მან უარი განაცხადა თავადის სახელწოდებაზე, რომელიც მას ახალმა იმპერატორმა მიუბოძა. სწორედ ამნაირი ქცევა იყო მიზეზი მისი დროებით პრეზიდენტად ამორჩევისა. გენერალ ლის ახლა 55 წ. შეუსრულდა, მაშასადამე იგი შედარებით ახალგაზდაა და შეუძლიან ენერგიულად აწარმოოს საქმე. ლი უნიჭო ადამიანია და ჩინეთი იძულებულია ახალი პრეზიდენტი გამონახოს. ახლავე მის კანდიდატათ გენერალისიმუს იუნანს ასახელებენ.

გერმანელთა ზარალი.

თუ „ტანის“ ცნობას დავერწმუნებით, გერმანელების ცნობებით, ომის დაწყებიდან ვიდრე 1916 წ. მაისის გასულამდე მოკლულია: 742,552 გერმანელი, დაჭრილია 1.829,439 კაცი და უკვალოდ დაკარგულია 368,204 კაცი, რაიცა საზოგადო რიცხვით 2.940,195 კაცს შეადგენს.

რეიხსტაგის პრეზიდიუმის გამგზავრება აღმოსავლეთ ასპარეზზე.

ბაზელიდან, 12 თიბათვეს იტყობინებიან: ვოლფის სააგენტოს ცნობით, რეიხსტაგის პრეზიდიუმის წევრნი, პრეზიდენტის კემპფის მეთაურობით ჰინდენბურგის ბანაკში ჩამოხტნენ.

საბერძნეთი.

საბერძნეთის ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგა. ოთხთა კავშირის ელჩები ირწმუნებიან, ზაიმისის ახალი კაბინეტი შესძლებს მეგობრულ განწყობილების აღდგენას.

საბერძნეთის ნავთ-საყუდელებში, ბერძენთა განთავისუფლებული გემები მოდიან. როგორც ათინიდან ირწმუნებიან, სალონიკში სამხედრო წესებს მოხსნიან, რადგანაც მოკავშირენი, თავის მოქმედების გასაფართოებლად მხოლოდ მაკედონიის ასპარეზის განთავისუფლებას მოითხოვენ.

დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

რუსეთის ასპარეზზე სტირისა და სტოხოდის შუა მკაცრი ბრძოლა გრძელდება. გერმანელები სხვა და სხვა ადგილას ცდილობენ იერიშის მიტანას, მაგრამ ცდა უნაყოფოა.

—

რუსებმა კიდევ წამოიყვანეს ტყვეები.

—

კავკასიის ასპარეზზე ჯივიზლიკის და გიუმიშხანის მიმართულებით ოსმალნი წინ წაწევას შეეცადნენ. მტერი ყოველგან მოიგერიეს.

—

ჰოროხის მიდამოებში რუსებმა წინ წაიწიეს.

—

დასავლეთ ასპარეზზე სომის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ბრძოლა ფრანგთა სასარგებლოდ გრძელდება.

—

ფრანგთა მფრინავებმა სხვა და სხვა ადგილებში 130 ყუმბარამდე ჩამოყარეს, რასაც გერმანელებმა ყუმბარებითვე უპასუხეს.

—

უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფო სათათბირო 20 თიბათვიდან 1 გიორგობისთვემდე 1916 წლამდე დაიხურა.

—

ინგლისის გემი „ვენდერმერი“ და იტალიისა „კარლო-ალბერტო“ დაღუპეს.

ახალი ამბავი

◆ **საქართველოს ეგზარხოსი,** გუშინ საღამოს 8 საათზე პეტროგრადიდან თბილისში დაბრუნდა.

◆ **ახალი ნაწარმოები.** შალვა დადიანს დაუმთავრებია ახალი ისტორიული მოთხრობა თამარ მეფის ცხოვრებიდან სახელად „უბედური რუსი“. ეს მოთხრობა ამ მოკლე ხანში ჩვენ გაზეთის სურათებიან დამატებაში დაიბეჭდება.

◆ **ექსკურსია.** ეპისკოპ. ანტონის მეთაურობით მიემგზავრება სავანებო ექსკურსია რკონის (გორის მაზრა) დიდებულ მონასტრის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში 40 კაცი შედის.

◆ **სტიპენდიები.** ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა თბ. სადეპუტატო საკრებულოს წინაშე რათა დაენიშნოს სტიპენდიები ახალგაზდა მგოსან ს. ფაშალიშვილს და მხატვარ-მოქანდაკე-ჭიაურელს სწავლის გასაგრძობად.

◆ **სააგარაკო საკითხი.** ვინაიდან ქართ. კულტ. მოყვარე საზ. გამგეობას აუარებელი თხოვნები მოსდის სხვა და სხვა მხრიდან აგარაკის ამა თუ იმ ალაგში დაარსების შესახებ გამგეობამ გადასწყვიტა მიენდოს საზოგადოების კომისიას ყველა ამ ალაგების ალაგობრივ დათვალიერება და შემდეგ საგანგებო თათბირზე შემოდგომას გადასწყვიტოს საბოლოოდ ალაგის არჩევის საკითხი.

◆ **ჭლექთან მებრძოლ** კავკასიის საზოგადოების გამგეობა შეუდგა კვლავ სანატორიუმის შენობის აგებას. ამ ზაფხულს შენობა უნდა მომთავრდეს გარედან, მომავალ წელს კი შიგნიდან.

◆ **სეტყვა თელავის მაზრაში.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ სეტყვას დიდი ზარალი მიუყენებია შაქრიანის სოფლის საზოგადოებისათვის. დაუსეტყვავს სულ 20 დეს. ვენახი და 600 დეს. მინდვრის ნათესი.

◆ **გოგირდი.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ პირველ წყება გოგირდიდან სოფლის მემამულეთ მიჰყიდა დღემდე 8789 ფუთი გოგირდი, ხოლო კოოპერატიულ ამხანაგობათ სამი ვაგონი.

◆ **დამატებითი მატარებელი** დაინიშნა ბორჯომ-ბაკურიანის შტოზე. ბორჯომიდან ეს მატარებელი გავა ნაშუადღევს 3 ს. 9 წ. დაბრუნდება საღამოს 10 ს. 22 წ. ბაკურიანში ეს მატარებელი ჩერდება ერთ საათს.

◆ **სასოფლო-სამეურნეო აღწერილობა.** სათეს მინდვრების და საქონლის აღმწერავ ცენტრალური ბიურო ამ კვირია იწყებს აღწერას თბ. გუბერნიისას. მთელი აღწერილობა ერთი თვის განმავლობაში უნდა მოთავდეს. აღწერილ არ იქნება მხოლოდ თიანეთის მაზრის მთიანი ადგილები, როგორც მაგალითად თუშ-ფშავ-ხევსურეთი. მთავარმა რწმუნებულმა სასურსათო საქმისამ მიმართა თხოვნით კავკასიის რკინის გზის უფროსს, რომ იმ პირთ რომელთაც დავალებული აქვთ აღწერის საქმე მიეცეთ უფლება ყოველგვარ მატარებელზე მიმოსვლისა როგორც სამგზავრო ისე საქონლისაზე.

◆ „ქართლის“ ამხანაგობის ცნობით თბილისის ბაზარზე **ხილის და ბოსტნეულის მაზანდა** დაახლოვებით იყო შემდეგი: ვაშლი 1 ფუთი 3 მან. მსხალი—3 მ. 50 კ. ატამი—4 მ. 50 კ. ტყემალი—2 მ. პამიდორი—4 მ. კომბოსტო—1 მ. კარტოფილი—1 მ. 20 კ. შავი სმოროდინა—1 მ. 4 მ. კიტრი 100 ცალი 2 მ.

◆ **ახალ კლუბის** საბჭო საზაფხულო სცენის ფარდულს საზამთრო ლოტოს სათამაშო ბინად აწყობს.

◆ **ახალ კლუბის** მამასახლისთა საბჭომ ოპერის არტისტი ივ. სარაჯიშვილი მოიწვია გასტროლებზე ამ ზაფხულს.

◆ 11 **თიბათვეს ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლაში** გამოცდას დაესწრნენ: საზოგადოების თავმჯდომარე, მისი თანაშემწე, გამგეობის წევრნი, ხელოსანთა სამმართველოს მამასახლისი და ექსპერტები. გამოცდამ მშვენივრად ჩაიარა, ორმოცმა ქალმა გაათავა და თითქმის ყველამ ხელოსან ქალის მოწმობა მიიღო. მოგვყავს სია:

აბულაძე ევგენია კონსტანტინეს ასული, ალავერდაშვილი ივლიტა ივანეს ასული, აივაზაშვილი ანნა ალექსანდრეს ასული, აღნიაშვილი მარიამი ალექსანდრეს ასული, ამერიძე თამარა მიხეილის ასული, ბაქრაძე ბარბარე გიორგის ასული, ბიჭაშვილი ვერა სტეფანეს ასული, გოგაძე ნინო გიორგის ასული, გოგოლაძე ანნა ბართლომეს ასული, გრიქულოვა ვარვარა გიორგის ასული, ღამბარაშვილი სოფიო იაგორის ასული, ათანეზოვა შუშანიკ არტემას ასული, თათარაშვილი ელენე კიმოთეს ასული, თევზაძე ლიდა იოსების ასული, იორდანოვა ნინო ანტონის ასული, კიკნაძე ეკატერინე სპირიდონის ასული, კურტაშვილი დარია ლევანის ასული, კაჭელაშვილი ეკატერინე ივანეს ასული, ლუკიანოვა ეფემია იოსების ასული, მეტეხელი თამარა სვიმონის ასული, მაისურაძე ნინო დავითის ასული, ნოზაძე ეფემია იოსების ასული, ნიკოლოზაშვილი მარიამი გიორგის ასული, ოდიშვილი თამარა ესტატეს ასული, ორჯონიკიძე სალომე მიხეილის ასული, ონოფრეშვილი მარიამი ვასილის ასული, პაპიაშვილი ნინა ივანეს ასული, პაპიაშვილი ნინო ნიკოლოზის ასული, პაპიაშვილი თამარა გრიგორის ასული, სოხაძე ანნა გიორგის ასული, სამიშვილი ნატალია დავითის ასული, შანშიაშვილი მარიამი ვასილის ასული, შანშიაშვილი ბარბარე ვასილის ასული, შატბერაშვილი ეფემია რამანის ასული, ციქუბაძე ნინო დიმიტრის ასული, ჯიბლაძე მარიამი ისიდორეს ასული, ჯიქური ბარბარე სტეფანეს ასული, ხუციევი თინათინი მიხეილის ასული, ხუციევი ელისაბედი ალექსანდრეს ასული, ხორბალაძე დარია გიორგის ასული.

◆ **სპარსეთის პრინცის მოხვლა.** ამ დღეებში თბილისში მოელიან სპარსეთის პრინცს ზილი სულთანს რომელიც 7 წელიწადია რაც გაძევებულ იქმნა სამშობლოდან და ეხლა რუსეთისა და ინგლისის მთავრობის წინადადებით დაინიშნა ისპაჰანის გენერალ გუბერნატორად. პრინცი წარუდგება მეფის ნაცვალს.

◆ **მეთოდიური კურსები.** 22 თიბათვიდან თბ. სასტატო ინსტიტუტში იწყება მოკლე ვადიანი კურსები პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლების მასწავლებლებისა. კურსებზე მსმენელთ გააცნობენ მეთოდიურ წესებს სწავლებისას რუსულ ენისას, ისტორიისას, ანგარიშისას და ბუნების მეტყველებისას. კურსები 2 კვირას გასტანს.

◆ **ავჭალის წყლის საყვანის** დასათვალიერებლად კვირას 19 თიბათვეს გაემგზავრა ავჭალაში თბ. გუბერნატორი ფლიგელ ადიუტანტი მანდრიკა, ქალაქის მოურავ ხატისოვთან ერთად.

◆ **ტელეფონი კავკავთან.** სამხედრო უწყებამ მოიწონა კავკავის თვითმართველობის შუამდგომლობა კავკავსა და თბილის შუა ტელეფონის გამართვის შესახებ.

◆ **საარქეოლოგიო ექსკურსია.** თბილისში ჩამოვიდნენ ხარკოვის საარქეოლოგიო-საეკლესიო საზოგადოების წევრნი ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლის ასისტენტის დ. ვ. გორდეევის ხელმძღვანელობით. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს მუზეუმები ქართველ სამღვდელოებისა, ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ტაძრები: სიონისა, ანჩხატისა, ქვაშვეთისა და სხვა. 17 თიბათვეს ექსკურსანტებმა მცხეთის სიძველენი დაათვალიერეს. დღეს კი მიემგზავრებიან ქუთაისს გელათის ტაძრის სიწმინდეთა დასათვალიერებლად. ექსკურსანტები ნანახით აღტაცებაში მოვიდნენ და მრავალი სურათი გადაიღეს.

◆ **დაბრუნდა თბილისს** სასურსათო საქმის მოსაწყობად გამგზავრებული ჩრდილო კავკასიაში ქალ. გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი.

ბარისახო (ხევსურეთი).

თიბათვის 6-ს ბარისახოში ყაჩაღებმა მოჰკლეს სტრაჟნიკი შარბაქაიძე.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრის უფროსები დეპეშით ატყობინებენ გუბერნატორს თუ როგორი პირი უჩანს მოსავალს მათდამი რწმუნებულ მაზრებში. დეპეშებიდან სჩანს რომ ყველა მაზრებში გარდა სენაკისა კარგი მოსავალი იქნება, სენაკში კი საშუალო.

— ეს ერთი ხანია ქუთაისში დიდი სიცხეებია.

— სტ. ერთ წრეს განზრახული აქვს ქუთაისში შეადგინოს ახალგაზრდების წრე, რომლის მიზანი იქნება: გააცნოს ჩვენი ქვეყანა, ისტორია და ლიტერატურა რუსულ ფართო საზოგადოებას.

— სტ. ვ. მოსიძე ამ ჟამათ თარგმნის რუსულათ პიესას „მოლიპულ გზაზე“. მას გადაუთარგმნია ილიას და აკაკის ბევრი მოთხრობები და ლექსები.

— ქუთაისში ჩამოვიდა დ. ი. სოზნოვსკი, რომელიც შეუდგა ქუთ. გუბერნიაში სამკურნალო მცენარეულობის შეგროვებას.

-- 15 თიბათვეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში ბ-მა სოსნოვსკიმ სამეურნეო საზ. წევრთ წაუკითხა მოხსენება ამის შესახებ და საზ. დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ამოირჩიეს განსაკუთრებული ბიურო.

— ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომის ბ-ნი დანილევსკის მოვალეობა დროებით დაკისრებული აქვს მთავრობის საგუბერნიო აგრონომს ბ-ნ ვასილევსკის.

— მთავრობის აგრონომს ბ-ნ ვასილევსკის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მთავარი ბიურო დეპეშით ატყობინებს, რომ ქუთაისის გუბ. სასოფლო-სამეურნეო აღწერაში გამორიცხულია სვანეთის აღწერაო. აგრეთვე არ აიწერება დ. ჭიათურა და დ. ტყიბული, რადგან ამ დაბებს უფრო წარმოებითი მნიშვნელობა აქვს ვიდრე სამეურნეო აღწერასთან.

— ქუთაისის მაზრის მარშლის თანაშემწე თ-დი ა. გ. ლორთქიფანიძემ მიიღო ფიცი და უკვე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

თ-დი ლორთქიფანიძე ამჟამათ ასრულებს ქუთაისის გუბერ. და მაზრის მოვალეობას.

— ქარ. შორ. წ. კ. გ. საზ. სენაკის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გამართოს ამ თვის 29-ს ახალ-სენაკში სეირნობა ამავე საზოგადოების საკეთილდღეოდ.

— სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ ქუთ. გუბერნ. წარუდგინა დასამტკიცებლად 16 მაისის საბჭოს კრების ოქმი.

დ. ჩოხატაური.

მეთუთუნეთა კავშირმა უკვე გაჰყიდა თუთუნი (თამბაქო): პირველი და მეორე ხარისხისა 24 მან., ხოლო მესამე 12 მან. ფუთი და უკვე აბარებს კიდეც მყიდველ სიმონოვს.

— როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ჩოხატაურის რაიონის მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ აქაურ კოოპერატივთა წარმომადგენლებმა დაარსეს ბიურო, რომელმაც გადასწყვიტა: აბრეშუმის პარკი ჯერ არ გაიყიდოს, დანიშნულ პუნქტში შეგროვდეს, გამოიხარშოს, გახმეს და მხოლოდ შემდეგ გაიყიდოსო. ამ გადაწყვეტილებას ხალხი ერთგულად შეხვდა და ეს ერთი ხანია ყოველის მხრიდან მოაქვთ აბრეშუმის პარკი. შეგროვილია აუარებელი ყაჭი და კიდევ ბევრს მოელიან. ვაჭრები მეტ ფასს იძლევიან, მაგრამ თითქმის არავინ ჰყიდის.

თელავი.

16 თიბათვეს 12 შეიარაღებული კაცი ჩასაფრებულა ს. შილდის და ყვარლის სამიჯნობელზედ ტყეში „კუის წყაროზედ“ ყველა გამვლელ-გამომვლელ მგზავრთ აბრუნებდნენ ტყეში და სცარცვავდნენ. ცარცვამ 10 საათამდე გასტანა. გაცარცულების სიტყვით ბრბო შეიარაღებული იყო „ვინტოვკებით“ და ბერდანის სისტემის თოფებით. ამ დღეებში ტყიდგან მოდენილი ს. შილდელი გლეხი გ. იმერლიშვილი მოჰკლეს თოფით. მას სამი ტყვია აქვს მოხვედრილი. ბოროტ გამზრახველთ თოფი ტყიდან უსვრიათ.

— ყ-დ სამღვდელო პიროს ალავერდელი მიემგზავრება ფშავ-ხევსურეთში. პირველ ივლისს მისი მეუფება ინახულებს თიანეთს. თიანეთში მას დახვდება ფშავ-ხევსურეთის ბლაღოჩინი ზამბახიძე, პოლიციის ჩინოვნიკისა და ბლაღოჩინის თანხლებით ჯერ ინახულებს ფშავეთს და [illegible] ხევსურეთს. მისი მე[illegible] ესწროს „ხატობებზე“, „ხატწევაში“, „თამარ მეფ[illegible] და „გუდანისაში“.

— თელავის ჟურნალ-გაზეთების აგენტმა, ბ-ნმა კ. ონიკაშვილმა გამოიგონა ერთგვარი მელანი. რომელიც ბევრმა მცოდნე პირებმა გასინჯეს და შეადარეს ნამდვილ ალიზარინოვის მელანს და ყველა დარწმუნდა რომ თუ არა უკეთესი ნაკლები აღარ არის ამ უკანასკნელზე, მისი გაკეთება-კი ბევრათ იაფი ჯდება და იაფადაც გაჰყიდის როგორც გვარწმუნებს თვით გამომგონი.

— თელავის მოვაჭრეებში კაი ხანია შაქარი აღარ იშოვება, მხოლოდ კოოპერატიულ დუქანში არის და გირვანქა 26 კაპიკად იყიდება წევრებზედ.

— აქაურმა შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ მიიღო 7 ვაგონი შაბიამანი.

— მაისის ნახევრამდე თავი მოგვაბეზრა წვიმებმა, მას შემდეგ კი ცვარი არ ჩამოვარდნილა, საშინელი სიცხეები დაიჭირა და მთლად გადაახმო გაზაფხულის ჭირნახული.

— აქ მეჩექმეთ მასალა ძალიან დააძვირეს. ჩექმის საძირე ორი კვირის წინ 4 მანეთად იყო გირვანქა, ეხლა 7 მანეთი გახდა.

— რამდენიმე მეთევზე ციხეში ჩასვეს თევზეულობის გაძვირებისათვის. მეთევზე გიორგი ახალქალაქელოვი (ნაკუდას ბიჭი). როგორც გადმოგვცეს მავ საქმეზე მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ.

დ. სურამი.

კვირას, 19 ამ თვეს აქ აკურთხეს ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ ადგილობრივ განყოფილების მიერ ახლად დაარსებული საჩაიე. კურთხევას საზოგადოება ბლომათ დაესწრო. პარაკლისი გადაიხადა მღვ. ბებიაშვილმა და სიტყვები წარმოსთქვეს „მანდილოსნის“ განყოფილების თავმჯდომარემ ქ-მ. ქებაძისამ, ბ. ბებიაშვილმა და ხარჯთ-ამკრეფმა ინსპექტ. მ. მაევსკიმ. შემდეგ საპატიო სტუმრები დიასახლისების მიერ მოწვეულ იქმნენ ფინჯან ყავაზე. ზეიმის დროს უკრავდა ხაშურის რკინის გზის ორკესტრი. საჩაიე კოხტად არის მოწყობილი და ეტყობა საქმის მოყვარული ხელი. იმედია, როგორც ადგილობრივი საზოგადოება, აგრეთვე ჩამოსული მოაგარაკენი მხარს უჭერენ საქველმოქმედო მიზნის დაწყობილებას და ამითი საშვალებას მისცემენ „მანდილოსანს“ განახორციელოს მისი პირდაპირი, კულტურული დანიშნულებანი.

მცირედი შენიშვნა

ერთ საყურადღებო საქმის გამო.

რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ უფლება-აყრილ ეროვნების ცხოვრებაში მპყრობელი სახელმწიფოს მთავარ წარმომადგენელთა აზრი, შეხედულება, ხასიათი მრავალნაირ მნიშვნელოვან საქმეების განსჯა გადაწყვეტისათვის, ამის დასამტკიცებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ გარემოებას. ქართული გაზეთების მკითხველებს გაგონილი ექნებათ ის ამბავი, თუ რამდენი წვალება-დავა-საჩივარი გამოსცადა სოხუმის ქალაქის თვით-მართველობამ გოლიცინის ბრძანებლობის დროს ქალაქისათვის მიზომილ მიწებისაგან საუკეთესო ნაწილის ძალით წართმევის გამო. უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომიანობის დროს 1878—79 წ. ქ. სოხუმი აოხრებული და გადამწვარ-გადაბუგული დარჩა მტრის შემოსევით; როცა ომი გათავდა,მშვიდობიანობა დამყარდა,ამ დროს კავკასიის გამგემ—აწ განსვენებულმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ კეთილ-ინება ყველა თავისუფალი ადგილები სათათრეთში გადასახლებულ „მუჰაჯირების“—აბხაზთა ემიგრანტების ქალაქ სოხუმისათვის გადაცემა. ამ განკარგულებას იმ დროს იმით ასაბუთებდნენ, რომ შავი ზღვის პირად ნოვოროსიიდგან დაწყებული ბათომამდე ისეთი ზღვის ნაპირა ქალაქი ბუნებრივი საბოლაზო თვისებით, როგორიც სოხუმია, განსაკუთრებულ ყურადღების ღირსად უნდა ჩაითვალოსო.

გავიდა დრო, სოხუმში თვითმართველობა შემოიღეს, უძრავ-მოძრავი ქონება ქალაქის არჩეულმა პირებმა ჩაიბარეს და წინ და წინ შემუშავებულ წესისამებრ ქალაქის რწმუნებულები შეუდგენ ქალაქის მიწების სარგებლობა-პატრონობას. როცა გამოირკვა, რომ სოხუმის თვითმართველობაში უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მკვიდრთაგანია და მათ ხელში გადადიოდა ძალა-მნიშვნელობა, მაშინ ზოგიერთ მოხელე-პოლიტიკანების მო-

ხებით კავკასიის მთავარ-გამგეობამ თან და თან ქ. სოხუმის საწინააღმდეგო განწყობილება შეითვისა, ეს გარემოება განსაკუთრებით გამწვავდა გოლიცინის მართველობის დროს, როდესაც პოლიციელების საქმეში ჩარევით ქ. სოხუმს ძალით ჩამოართვეს 350 დესეტინა ზღვის ნაპირი საუკეთესო მიწა; მას შემდეგ 15 წელიწადი სდიეს. ქ. სოხუმი ამ საქმეს, ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში მოიგო მან საჩივარი. მაგრამ ვორონცოვის დროს, როცა გოლიცინის პოლიტიკა სრულიადაც არ შეცვლილა ქართველებით დასახლებულ კუთხეების შესახებ ადმინისტრატიულ განკარგულებით არ ანებებდენ ქალაქს ამ მიწებს; ამ თვითნებობას იმით ასაბუთებდენ, რომ სოხუმის ოლქში მიწის მფლობელობის საქმის გარჩევა ადმინისტრაციის ეკუთვნის და არა სამსჯავროსო.

როცა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე შეუდგა კავკასიის მართვა-გამგებლობის საქმეებს, სოხუმის საბჭომ ქალაქის თავის ნ. თავდგირიძის წინადადებით დაადგინა ახლოს დეპუტაცია*) დიდ მთავარს და წერილობითი დასაბუთებული აღწერით და პირადადაც მოახსენონ მას ამ საქმის განსაკუთრებული თვისება-გარემოება.

მართლაც დიდმა მთავარმა ჯეროვანის ყურადღებით მოისმინა დასაბუთებული მოხსენება ამ საქმის შესახებ, იმ თავითვე აღუთქვა დეპუტაციას ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ: უბრძანებ ჩემ მოხელეებს ყველა ამ საქმის შესახები მასალები შეკრიბონ, შეისწავლონ და კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტის დროს ქალაქის წარმომადგენელს მივაწოდებთ და მის თანადასწრებით გავარჩევთ ამ საქმესო; ყველა ეს დიდ მნიშვნელოვანი დაპირება აღსრულებულ იქმნა. მეფის მოადგილის კანცელარიამ დასაბუთებული მოხსენება დაბეჭდა უკვე, რომელშიაც მკაცრ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს წარსულ მართველობის განკარგულებას ამ საქმის გამო; ლოღიკური მსჯელობით და უტყუარი საბუთებით ამტკიცებს, რომ უსამართლობა, უგუნურება და უწესობა იყო ქალაქისაგან ამ მიწების წართმევაო. ქალაქის თავიც დაბერებულია ამ საქმის ბედ-იღბლის გადაწყვეტის მსჯელობა-თათბირში მონაწილეობის მისაღებად. აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირადობის სასურველ მიმართულებას—„კურსის“ დამყარებაში. რამდენი ათი წელიწადია მეფის მოადგილის საბჭო არსებობს და არც ერთ საზოგადო მოღვაწეს ამ საბჭოს მსჯელობაში, შორიდგანაც არ მიუღია მონაწილეობა; ეხლა კი თვით საზოგადოების წარმომადგენელთ იწვევენ იმ სათათბიროში, სადაც საზოგადოების სასურველი კითხვა ირჩევა და წყდება.

Z.

---

*) სამართლიანობა მოითხოვს გამორკვეულ იქმნას ის, რომ ქალაქის თავის ნ. თ. წინადადებით მხოლოდ ამ საქმისათვის იყო არჩეული დეპუტაცია; დეპუტაციის შემადგენლობაში ორი რუსი განზრახ იყო არჩეული იმიტომ, რომ მათ მოეწერათ ხელი იმ შუამდგომლობაზედ, რომელიც არღვევდა და მკაცრად არჩევდა სოხუმელ რუსებისაგან შექმნილ „პოლიტიკანობას!“

წერილი გორიდან

მას შემდეგ, რაც სამსახურში გაიწვიეს სათადარიგო ჯარისკაცნი, მრავალი ოჯახი ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში. რათა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინათ მძიმე ტვირთი ოჯახის გაძღოლისა ჯარში გაწვეულების ცოლთათვის, რამდენიმე პირის მიერ, მომეტებულად მასწავლებლების, გადაწყვეტილ იქმნა დაეარსებინათ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე წრე. განზრახული წრე მალე დაარსდა და თითქმის გორის ყველა მასწავლებელმა მიიღო მასში მონაწილეობა. მუშაობა ამ წრის პირველად მასში გამოიხატა, რომ რამოდენიმე პირი დადიოდა კარ და კარ და აგროვებდა ცნობებს სამხედრო სამსახურში გაწვეულ ჯარისკაცთა შვილების შესახებ. გამოირკვა, რომ ბავშვთა რიცხვი იყო 118. შემდეგ გამოარკვიეს, რამდენი იყო უკვე სასკოლო ასაკისა და დაიწყეს მათი მოთავსება ქ. გორის სხვა და სხვა სასწავლებლებში. წრის წევრები უწერდნენ ბავშვებს თხოვნებს, უღებდნენ საჭირო მოწმობებს, სთხოვდნენ სკოლების უფროსებს მათ სწავლის ფულიდან განთავისუფლებას.

სულ სასწავლებლებში მოთავსებულ იქმნა 42 ბავშვი. ამ რიცხვში ვაჟები იყო 14, ქალები 28. ვაჟები შემდეგ სკოლებში მოათავსეს: სასულიერო სასწავლებელში 4, საოსტატო სემინარიასთან არსებულ პირველდაწყებით სასწავლებელში 2, პირველდაწყებით სამინისტრო სასწავლებელში 3, სამების სამრევლო სკოლაში 2, სომხურ დაბალ სასწავლებელში 3.

ქალები იყვნენ განაწილებულნი შემდეგ ნაირად: ჭრა-კერვის სკოლაში 18, სობოროს სამრევლო სკოლაში 8, საქალებო გიმნაზიაში 1, სომხის დაბალ სასწავლებელში 1.

წრე უწევდა დახმარებას მოსწავლე ბავშვებს სხვა და სხვა სასწავლო ნივთების ყიდვით, უჭერდა კერძო მასწავლებლებს სუსტ ბავშვებს, იხდიდა ზოგიერთის სწავლის ფასს.

წრის შემოსავალი იყო სულ 496 მანეთი; უმთავრესი წყარო შემოსავლისა იყო ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე გორის კომიტეტი.

წრეს თავის მოქმედების განმავლობაში დაეხარჯა 461 მანეთი; ამ ჟამათ წრის განკარგულებაშია მხოლოდ 35 მანეთი.

დიდი მადლობის ღირსია ზოგი ერთი წევრი ამ წრისა თავის დაუზარებელ და უანგარო შრომისათვის.

ხოხო.

წერილი სოხუმიდან

ამას წინად „საქართველოში“ სოხუმიდან წერილი მქონდა მოთავსებული, სადაც აღვნიშნავდი, რომ ხმოსანთა კრებაზე ხმ. **მ. ტომარამ** წინადადება შეიტანა, სადაც მოითხოვდა—ერობის შესახებ უმრავლესობის გადაწყვეტილებას სოხუმის ხმოსნები არ არ დათანხმებოდა და სხვ. ეს წინადადება ხმოსნების უმრავლესობამ (23 ხმით წინააღ. 10) უარჰყო. რა კი მისი წინადადება არ გავიდა, გულის მოსაფხანად ბ-ნ ტომარამ თავის თბილელ კოლეგებითურთ დემოკრატობის ჰანგები ააჟღერა „სოხუმ. ვესტნიკ“-ში. რომ ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს თუ ვინ არიან ეს „დემოკრატები“ და დემოკრატიული ერობის მომთხოვნი—ქართველების ვითომ ჭირისუფალნი—საჭიროდ მიმაჩნია მათი სახელი და გვარი მოვიყვანო: მ. ტომარა, გ. შაბრანოვი, ვ. მარკოვიჩი, მ. ილიაშევი, ა. მენჩინსკი, პ. ფარმაკოვსკი, პ. დვორიანსკი, გ. ზაგრაფოპულო, პ. დობრინინი და მღ. გოლუბცოვი. დიახ, ესენი გახლავთ ჩვენი კუთხის, ჩვენი ხალხის „მეგობრები“ და „მადლობის“ მეტი რაღა გვეთქმის, მაგრამ ამათ „მეგობრობას“ და „პროგრესისტობას“ სოხუმში თუ სხვებიც (არა ხმოსნები) დაამოწმედენ და კვერს დაუკრავდენ, აღარ გვეგონა! „სოხუმ. ვესტნიკ“-ის მე-128 №-ში გამოუცხვიათ კოლექტიური წერილი 18 კაცის ხელმოწერილი, სადაც ბრძანებენ: „სამწუხაროდ, სოხუმის საბჭოში უმრავლესობა (23) აღმოჩნდა ქართველი რეაქციონერებიო, რომლებმაც დაადასტურეს და მიიღეს 90 წლის ერობაო; 10 კი (რუსები) უფრო პატიოსნები და პროგრესისტებიო და სხვ.“

23 ქართველი ხმოსნები რეაქციონერები, 10 რუსი ხმოსნები—პროგრესისტები, აი 18 კაცის ხელმოწერილი ჯგუფური წერილი, რომლებმაც ვითომ-და თავიანთი ავტორიტეტული ხმა გასძახეს სოხუმის საზოგადოებას.

ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ ტომარა-მარკოვიჩ და კომპანიამ ერობის შესახებ უმრავლესობის წინააღმდეგ გაილაშქრა, მხოლოდ გვაოცებს ის, რომ ხსენებულ კომპანიას ტაშს უკრავენ ისეთი პირები (გარდა ორიოდ-სამიოდესი), რომლებიც მხოლოდ ფეხის ხმას აყოლიან, ქვევრივით,—რასაც ზევიდან ჩასძახებენ, იმასვე ამოსძახებენ, რასაც მიაწოდებენ, იმას აწერენ ხელს.

უმრავლესობამ თუ რატომ დაუჭირა მხარი 90 წლის ერობას, ამის შესახებ საკმაოდ დაიწერა და ითქვა, მხოლოდ თუ მაინც კიდევ არ იშლიან და თავისებურად ფიქრობენ და სწერენ, ეს მათი ნებაა. მხოლოდ დრო არის, ცხოვრების და საერთო მდგომარეობის სინამდვილეს თვალებში შევხედოთ და მარტო სიტყვების რახა-რუხს გადავეჩვიოთ.

მარტო კარგი სურვილები რომ კმაროდეს ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად მაშინ ხომ დიდი ხნიდან ვიქნებოდით სამოთხეში შესული.

რწმენა-პრინციპები რომ საჭიროა ყველა ადამიანისათვის და მიმართულებისათვის ეს სადაო არ გახლავთ, მაგრამ მარტო ამითი რომ ვიყოყოჩოთ და ვიამპარტავნოთ, არა გაკეთდება რა. უკეთესია საქმით ვიამპარტავნოთ.

ჩვენ ქართველებს რა გვსურს და რა მოგვიხდება ეს ჩვენ ტომარა-მარკოვიჩზე უკეთ ვიცით, მაგრამ როდესაც ჯერ-ჯერობით სამისო ძალაუფლება ხელთ არა გვაქვს, გონიერება მოითხოვს რაც შესაძლებელია ის ვიგდოთ ხელთ.

პრ. ახკანელი.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება

თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის პატივსაცემად გამართული კრება

დასასრული. იხ. „საქართ.“ № 137.

მღვდ. ცქიტიშვილი. დღეობა, მაგალ., ხალხის შექმნილია, ის რომ ხალხს მოუსპო, მაშინ იგი პირუტყვს უფრო დაუახლოვდება, ვიდრე განათლებულ ადამიანს. დღეობები უნდა შენახულ იყვნენ, მხოლოდ მათში დადებითი მხარეები უნდა შევიტანოთ.

გ. ბურჯულაძე. ადათი ქართული სიტყვა იხმარებოდეს... ბევრს ჩვეულებებში მრავალი ცუდი მხარეებია, რომელნიც უნდა უეჭველად მოისპნენ,—მაგალ. ტირილი, ლოყების ხოკვა და სხვა... რაც შეეხება დღეობებს, იგი შემოაქვს კრებულს, რომლისთვისაც ეს სასარგებლოა უმეტესად ქონებრივად, ვიდრე ხალხს, რომელიც აუარებელ ხარჯში ვარდება მათი გადახდით. ქორწილებიც მრავალს ხარჯს იწვევენ გლეხებისაგან და ხშირად მთლად სპობენ მათ კეთილდღეობას. სწორედ აი ამისთანა მავნე, ხალხის ჯურღმულში მამყოფებელი ჩვეულებანი უნდა მოისპოს მათდა საკეთილდღეოდ.

მასწ. ლაზარაშვილი. მავნე ჩვეულებებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არა პირდაპირ და ერთბაშად, არამედ თანდათანობით და სიფრთხილით. ჩვენ თვითონ უნდა გავიზიაროთ ხალხის ადათ-ჩვეულებანი და მერე მათთან ერთად ნელ-ნელა მოვსპოთ იგინი. მე მოვიყვან ჩემი ცხოვრებიდან ერთს მაგალითს, თუ რამდენად უნაყოფოა და მასთან საშიშო პირდაპირი შეხლა ჩვეულებებთან. მე მოვინდომე დღეობის გადახდა მოვესპოთ რამდენიმე საზოგადოებაში. შევყარე ხალხი და ვარწმუნებდი მათ თუ რამდენად შეუფერებელია ჩვენთვის სიმხიარულე და ხარჯის გაწევა იმ დროს, როდესაც ჩვენი ძმები და შვილები ბრძოლის ველზე თავსა სდებენ და მათი მშობლები და ოჯახები კი ათასგვარ გასაჭირს განიცდიან მეთქი. როდესაც ლაპარაკი გავათავე, წამოდგა ერთი გლეხი და პირდაპირ მითხრა: „შენთვის მუდამ ქეიფია, მუდამ დროს ტარება; ჩვენ კი ეს ერთი დღე შეგვრჩენია და ამ დღესაც არ ვიმხიარულოთო“. მეორე საზოგადოებაში უკვე გადაწყვეტილი იყო არ გადაეხადათ დღეობა, მაგრამ როდესაც გავემგზავრე იქით გასაგებათ, თუ რამდენად ასრულებენ თავიანთ დადგენილებას მეთქი, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც იქ დამხვდნენ ნაცნობი ინტელიგენტები, რომელნიც პირველნი არწმუნებდნენ ხალხს—ნუ გადაიხდით დღეობასო.

მასწ. ქ-ნი თ. ჩიტაძე. ბევრს ადათ ჩვეულებას ხალხის ცხოვრებაში უაღრესი დადებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალ., სიმღერა, ანდაზები, შაირები სხვა და სხვა ხალხური გასართობები და სხვ.—ყველა ეს ჰქმნის ხალხის სულიერ სიძლიერეს, სიმხიარულეს და სიმართლეს. არამც თუ ბრძოლა, მათ პირდაპირ წახალისება უნდა.

ნ. ქურიძე. არც მე ვყოფ უარს, რომ ადათ-ჩვეულებების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისთვის. მაგრამ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებისათვის კი ბევრი მათგანი ძლიერ მავნებელია. ხშირად მათ ხალხი უკიდურეს სიღატაკემდე მიჰყავთ. ჩვენი ხალხის დაღვრემილი გარეგნული სახე აიხსნება მისი ეკონომიური ჩამოქვეითებით, რომელიც გამოწვეულია სწორეთ აი ამ ძველ ადათ-ჩვეულებებით ცხოვრებით. და ხალხის საკეთილდღეოდ უნდა ვებრძოლოდ აი ამ მავნე ადათ-ჩვეულებებს;—მხოლოდ ვებრძოლოდ არა მისი გაკიცხვით და დაცინვით, არამედ მათთან შეკავშირებით და ჩაგონებით.

მასწ. ლ. ბარნაბიშვილი. მთებში დღეობებს სხვანაირი ხასიათი აქვთ. ხალხი დღეობას ხდილობს არა კერძოდ და ოჯახობრივ, არამედ ყველა ერთად და საზოგადოებრივ. საერთო სუფრის გაწყობაში, სანოვაგის შოვნაში ყველა იღებს მონაწილეობას. იმ დღით ვისთანმე მისული სტუმარი უეჭველად საზოგადო სუფრაზე უნდა იქმნას მიწვეული... ამისთანა დღეობებს უეჭველად დადებითი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში, იგინი აღვიძებენ და აკეთილშობილებენ მასში სოციალურ გრძნობებს.

მასწ. ნ. გვაზავა. თუ გვინდა დღეობების და სხვა ამ გვარი ჩვეულებების მოსპობა, მაშინ მათ მაგიერ ხალხს უნდა მივაწოდოთ სხვა და სხვა გვარი გონივრული გასართობები, სახალხო უნივერსიტეტი, ლექციები, თეატრი, პროექტორი, და სხვა.

მასწ. ქ-ნი გ. მურვანიშვილისა ხაზს უსვამს ზოგიერთ ადათ-ჩვეულებების ჰიგიენურ და სოციალურ მნიშვნელობას.

ლაპარაკის მსურველი კიდევ მრავალი იყო, მაგრამ დროს უქონლობის გამო, კრება შეწყვეტილ იყო ღამის $11\frac{1}{2}$ საათზე.

თეატრი

ქართული წარმოდგენა.

ოთხშაბათს, 22 თიბათვეს ხართუხის კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „სამაგელი“. წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გაზეთ „საქართველო“-ს № 118 დაბეჭდილია ვითომ მე, ქალაქის მოურავმა და ექიმმა, დიმ. ერისთავმა, დავაბეზღე გუბერნიის ექიმთან ფერშალი კალანდაძე იმისთვის, რომ „უკანასკნელი წამლებს ამზადებს და ჩუმათ ჰყიდის და ისეთი წამლებიც აქვს, რომლის უფლება მას არა აქვსო“. შემდეგ ნათქვამია: „გაჩხრეკის შემდეგ კალანდაძეს აკრძალული წამლები არ აღმოაჩნდაო“.

ამის შესახებ უნდა მოვახსენო ბ-ნ ქრონიკერს, რომ სიტყვა „დაბეზღება“ აქ შეუფერებელია. მე, როგორც ქალაქის მოურავი, ვალდებული ვარ დავიცვა ქალაქის ინტერესები და, რადგანაც ერთ-ერთს საფუძლიანსა და შემოსავლიან საქალაქო დაწესებულებას—აფთიაქს და თვით საზოგადოებასაც სავრძნობი ზიანი მოსდიოდა და ეხლაც მოსდის ბ-ნ კალანდაძის მიერ აშკარად და დაურიდებლად წამლების მომზადებით და გაყიდვით, რაც კანონით აკრძალულია,—მე, ვიმეორებ, ვალდებულად ვრაცხდი ჩემს თავს ეს მეცნობებინა ვისთვისაც ჯერ არს, და ასეც მოვიქეცი. განა ეს დაბეზღებაა?!.

რაც შეეხება იმას, რომ, როგორც ბ-ნი ქრონიკერი ბრძანებს, გაჩხრეკის დროს აკრძალული წამლები (საწამლავები) ვერ აღმოაჩინეს, ეს იმის მიზეზია, რომ გაჩხრეკამდე შესაფერი ზომები ყოფილა მიღებული ამგვარი წამლების გადამალვისთვის. რომ ასეთი წამლები ყოველთვის ჰქონდა ბ-ნ კალანდაძეს, ეს არა თუ ჩემთვის, როგორც ექიმისთვის, არამედ სხვისთვის, საზოგადოების ფართო ნაწილისთვისაც-კი, შეურყეველი ფაქტია. მაგრამ საქმე ხომ მარტო ეს არაა! ბ-ნ კალანდაძეს არავითარი უფლება არა აქვს დაამზადოს წამლები და რომ ის წამლებს თვით, თავის სახლში ამზადებს და კარგ ფასებშიაც ჰყიდის გაჭირვებულ ავათმყოფებზე, ამასაც ჩემთვის და ვგონებ, სხვისთვისაც დამტკიცება არ სჭირია.

საკვირველია მხოლოდ, რატომ ქალაქის ბოქაულს ჩიქვაიძეს ოქმში არ შეუტანია ის გარემოება, რომ, გაჩხრეკის დროს ბ-ნ კალანდაძის ბინაზე აღმოჩნდა ყველა ის იარაღები და ჭურჭლები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ წამლების მზადებისთვის.—რაც შეეხება იმას, ვითომ ბ-ნ კალანდაძეს. როგორც ბოქაულის ოქმშია აღნიშნული, არ ჰყავდეს ფარმაცევტი და თვითონ ამზადებდეს წამლებს, ეს ხომ კიდევ უარესი და საზიანოა ხალხისთვის... მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვსთქვა, რომ შარშან მას ჰყავდა დაჭერილი პროვიზორის თანაშემწე, რომლის სახელსა და გვარს თუ საჭირო იქნება, გამოვაცხადებ.

ოზურგეთის ქალაქის მოურავი

დიმ. ერისთავი.

შემოწირულება

გაახლებთ თოთხმეტს მანეთს და ოთხს აბაზს შეკრებილს ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტიდგან პირველი კავკასიის სანიტარულ ლაზარეთის ჯარისკაცნი **ქართველ მოღვაწეთა საგარაკოს ასაშენებლათ**.

თითო მანეთი:

მიხეილ მერებაშვილმა, იასონ გამეზარდეშვილმა, ლადო მჭედლიშვილმა, თომა ჩაბარავამ, კოლა ქერხულმა, ერასტი გოგოტაშვილმა, მელიტონ ლობჟანიძემ, კოლა აბუტაძემ.

ათ-ათი შაური:

მინა დათეშიძემ, მიხა მამუკელაშვილმა, ლაზარე ფიფიამ, კანდრატი ბარქაიამ, ბუხუტა დანელიამ, ილიკო პაპუაშვილმა და გიორგი ეძგვერაძემ.

ორორი აბაზი.

გიორგი გორგიშელმა, დავით ჯანჯღავამ და თომა ჩიქვაიძემ.

ექვსი შაური.

ალექსი მჭედლიშვილმა.

თითო აბაზი:

იოსებ დემეტრაშვილმა, ილიკო აბულაძემ, ივანე ნასყიდაშვილმა, ალექსანდრე მეპარიშვილმა. ერმილე კოკაიამ, სიმონა ბედოშვილმა, ვანო კავთუაშვილმა.

ორორი შაური:

მაქსიმე მაღლიშვილმა და გიორგი ბატკუაშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4, 7	„ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, . 7	„ 58	„ საღ.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russepour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები
რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартиладзе.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჩველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საიჯარო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ოშეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „[illegible]“ [illegible], გამბუნის შესახვევი № 4.